აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი
ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

22 მარტი, 2019

დადგენილება № 34(18/19)

„სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების წესისა და პირობების შესახებ“ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის 12 თებერვლის N33 (13/14) დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების 46-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, აკადემიური საბჭო **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების წესისა და პირობების შესახებ“ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის 12 თებერვლის N33 (13/14) დადგენილებაში და დადგენილების მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11.

1. ამ დადგენილების საფუძველზე მინიჭებული უნივერსიტეტის ემერიტუსის წოდების მქონე პირს უნივერსიტეტის მიერ მიეცემა ყოველთვიური ანაზღაურება 1040 ლარის ოდენობით.

2. ეთხოვოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს ამ დადგენილების მე-11 მუხლის პირველი პუნქტისგან განსხვავებული ანაზღაურების ოდენობის გაცემის შესაძლებლობის შემთხვევაში, განიხილოს ემერიტუსის წოდების მქონე პირისათვის დამატებითი ანაზღაურების საკითხი“.

3. ეს დადგენილება ძალაშია 2019 წლის 1 აპრილიდან.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი